

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	14
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	15
6. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	15
7. გაწეული მომსახურების თვითღირებულება	16
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16
9. ძირითადი საშუალებები	17
10. სასაქონლო მატერიალური მარაგები	18
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	19
13. საწესდებო კაპიტალი	19
14. საგადასახადო ვალდებულებები	19
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
16. პირობითი ვალდებულებები.....	19
17. ფინანსური რისკების მართვა	20
18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან.....	22
19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	23

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სერვის ნეტ გრუპი“-ს მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სერვის ნეტ გრუპი“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე, სადაც აღწერილია, რომ კომპანიის შემოსავლები ძირითადად დამოკიდებულია ერთ კონტრაგენტზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებები

შპს „სერვის ნეტ გრუპი“-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2024 წლის 30 აპრილს.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 24-37 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭლავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

„ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

27 მაისი, 2025

თბილისი, საქართველო.

- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

„ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

27 მაისი, 2025

თბილისი, საქართველო.

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	6	24,985,398	23,406,901
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7	(19,599,522)	(20,714,560)
საერთო მოგება		5,385,876	2,692,341
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(8,366,984)	(4,955,862)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(35,680)	(22,816)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რევერსი		37,718	12,685
სხვა შემოსავალი		48,481	118,280
საოპერაციო ზარალი		(2,930,589)	(2,155,371)
საკურსო მოგება		372	1,489
ზარალი დაბეგვრამდე		(2,930,217)	(2,153,882)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(2,930,217)	(2,153,882)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 27 მაისს:

ლევან ურუშაძე
დირექტორი

ნინო ივანიძე
ფინანსური დირექტორი

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	6	24,985,398	23,406,901
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	7	(19,599,522)	(20,714,560)
საერთო მოგება		5,385,876	2,692,341
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(8,366,984)	(4,955,862)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(35,680)	(22,816)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რევერსი		37,718	12,685
სხვა შემოსავალი		48,481	118,280
საოპერაციო ზარალი		(2,930,589)	(2,155,371)
საკუროსო მოგება		372	1,489
ზარალი დაზღვევამდე		(2,930,217)	(2,153,882)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(2,930,217)	(2,153,882)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 27 მაისს:


 ლევან ურუშაძე
 დირექტორი


 ნინო ივანიძე
 ფინანსური დირექტორი

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,433,137	1,563,199
არამატერიალური აქტივები		438	1,188
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,433,575	1,564,387
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	10	473,140	694,159
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	1,513,718	5,197,901
ფულადი სახსრები და მათი კვივალენტები	12	138,865	89,674
სულ მიმდინარე აქტივები		2,125,723	5,981,734
სულ აქტივები		3,559,298	7,546,121
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	13	100	100
გაუნაწილებელი მოგება		2,815,449	5,745,666
სულ კაპიტალი		2,815,549	5,745,766
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	14	125,321	364,066
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	618,428	1,436,289
სულ მიმდინარე ვალდებულებები		743,749	1,800,354
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,559,298	7,546,121

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	100	7,899,548	7,899,648
მიმდინარე წლის სრული ზარალი		(2,153,882)	(2,153,882)
31 დეკემბერი 2023	100	5,745,666	5,745,766
მიმდინარე წლის სრული ზარალი		(2,930,217)	(2,930,217)
31 დეკემბერი 2024	100	2,815,449	2,815,549

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა:		
ზარალი დაბეგვრამდე	(2,930,217)	(2,153,882)
ცვეთა და ამორტიზაცია	262,890	290,216
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	(11,760)	(119,384)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	2,643
მოსალოდნელიო საკრედიტო ზარალის რეზერვის შემცირება	(37,718)	(12,686)
მარაგების გაუფასურების ხარჯი	80,736	-
საკურსო ზარალი	(372)	(1,489)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე	(2,636,441)	(1,994,582)
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	140,283	(18,624)
ცვლილებები დებიტორულ და სხვა მიმდინარე დავალიანებებში	3,721,908	1,296,628
ცვლილებები საკონტრაქტო აქტივებში	-	191,869
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	(817,614)	692,793
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	(238,745)	24,517
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	169,391	192,601
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
გადახდილი პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	169,391	192,601
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(152,906)	(718,896)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	32,588	532,613
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(120,318)	(186,283)
ნეტო ზრდა ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	49,073	6,318
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	89,674	81,867
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	118	1,489
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	138,865	89,674

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „სერვის ნეტ გრუპი“ (შემდგომში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა საქართველოში 2013 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404461131.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა სახის ხაზობრივი ნაგებობების მოწყობა/შენიშვნა თანმდევი სამუშაოებით. არსებული სახაზო და ასევე სილქნეტის შიდა ქსელის მოვლა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, შ. ნუცუბიძის ქუჩა, N 14

კომპანიის მეწილეები: 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია 2007 წლის 28 ივნისს მალტაში რეგისტრირებული კომპანია „იუპიტერ ფინანს ლიმიტედ“ (C 41764), ხოლო საბოლოო მფლობელია მალტაში რეგისტრირებული კომპანია „არტის თრასის ლიმიტედ“ (C58395), რომლის წარმომადგენელი საქართველოში არის ზურაბ კოსტავა (პ/ნ 01018000518).

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს კომპანიამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

- საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება);

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად, კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ის შესწორება);
- მიმწოდებლის ფინანსები (ცვლილება ბასს 7-სა და ფასს 7-ში);

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

- აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

- ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	3-15
ოფისის აღჭურვილობა	2-10
კომპიუტერული ტექნიკა და პროფესიული მოწყობილობები	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	10
ავეჯი	2-5

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

შემდგომი დანახარჯის კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ზრდის მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ აქტივში განივთვლელ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯი, მათ შორის ჯგუფის შიგნით გენერირებულ გუდვილსა და ბრენდებზე გაწეული ხარჯები, აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე.

ამორტიზაცია გამოითვლება აქტივის თვითღირებულების მიხედვით, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. ამორტიზაცია, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში

ამორტიზაციის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება და, შესაბამის შემთხვევაში კორექტირდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა - კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ასევე წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებებისთვის შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის

მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოდგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI

მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

- **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყეუ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას. სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- **FVOCI** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

- **გაუფასურება.** კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ამისთვის ფასდება ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობა. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც დამოკიდებულია ხელშეკრულებით არებული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის დონეზე. შედეგად, განისაზღვრება სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. კომპანია მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან სამი თვის განმავლობაში.

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.** კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხდება იმ კატეგორიაში რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან
- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ზარალის ანარცხის გამოკლებით, რომელიც განისაზღვრება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით.

იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა კომპანია აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას
- კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კომპანიას უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:
 - (i) კომპანიას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;
 - (ii) კომპანიამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

როდესაც კონტრაქტი შეიცავს იჯარის კომპონენტს, მისი საწყისი აღიარებისას ან შემდგომ შეფასებისას კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებას ანაწილებს თითოეულ საიჯარო კომპონენტზე საიჯარო კომპონენტების განცალკევებული შედარებითი ფასების საფუძველზე. თუმცა მიწისა და შენობის იჯარის შემთხვევაში, კომპანია არ აცალკევებს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც არ შეიცავს იჯარას და შესაბამისად ორივე ტიპის კომპონენტს აღრიცხავს როგორც ერთ განცალკევებულ კომპონენტს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარები. კომპანიამ გათავისუფლების უფლება და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებს და იჯარებს, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის პირველადი გამოყენებიდან მომდევნო 12 თვეში, არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებად. კომპანია ასეთ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძველით.

მოგების გადასახადი. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ რომლის მიხედვითაც კომპანიები, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით.

დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება

ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იჯარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, მომხმარებლებისთვის საქონელსა და მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის მომენტში.

საკონტრაქტო აქტივები. როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს/მომსახურებას მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც

კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული

ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარი).

აქტივის დაბრუნების უფლება. ეს არის კომპანიის უფლება აღადგინოს მომხმარებლისგან დაბრუნებული მარაგის ღირებულება. ის აღიარდება დასაბრუნებელი აქტივის თვითღირებულებით, შემცირებული დაბრუნების გამო აქტივის ღირებულების შემცირებით ან მარაგის მობრუნებასთან დაკავშირებული ხარჯებით.

აქტივის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ეს არის კომპანიის ვალდებულება რომ დაუბრუნოს მომხმარებელს მიღებული ან მისაღები ანაზღაურება სრულად ან ნაწილობრივ და აღიარდება იმ თანხით, რისი დაბრუნების მოლოდინიც აქვს კომპანიას ანგარიშგების თარიღისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანახლებს შეფასებებს რაც გამოიყენება ამ ვალდებულებების აღსარიცხავად. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები. კომპანია მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მისი ამორტიზირება თორმეტ თვეზე დიდი პერიოდის განმავლობაში.

კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენს ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ

მოხდებოდა კონტრაქტის გაფორმება. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების გაწევა სრულად ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდება თუ არა კონტრაქტი. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ქონია კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის

ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში.
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ეკვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.**

კომპანია შემოსავალს ძირითადად გამოიმუშავებს ერთი დამკვეთისგან, რომელსაც გენერალური და დამატებითი მომსახურების ხელშეკრულებების საფუძველზე უწევს მომსახურებას და შესაბამისად, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მხოლოდ აღნიშნულ ერთ დამკვეთზე.

ხელმძღვანელობამ განიხილა აღნიშნული რისკი და მიაჩნია, რომ ძირითად კლიენტთან თანამშრომლობის შეწყვეტა არ წარმოადგენს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საფრთხეს, კომპანიას უკვე მრავალწლიანი ურთიერთობის გამოცდილება აქვს და დამკვეთისთვისაც არ იქნება მარტივი ჩანაცვლება სხვა კომპანიით, რომელიც შეძლებს ანალოგიურ მასშტაბზე და ეფექტურობით მომსახურებას.

ამასთან ერთად 2024 და 2023 წელს კომპანიას აქვს უარყოფითი შედეგი 2,930,217 და 2,153,883 ლარის ოდენობით. თუმცა კომპანიას ასევე ქონდა გასულ წლებში დაგროვილი გაუნაწილებელი მოგება, კომპანიის მიმდინარე აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს და კომპანია არ დგას ლიკვიდობის რისკი წინაშე. ამასთან მიმდინარე წლის ზარალი დიდწილად გამოწვეული იყო გაზრდილი საბონუსე ხარჯით, რომლის ოპტიმიზაციაც მოხდა 2025 წლიდან, რა პერიოდშიც კომპანიი ინარჩუნებს მომგებიანობას.

- **რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებზე**

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარჩებს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური მიდგომა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

• ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. თუ აქტივის გამოყენების ვადა შეზღუდულია რაიმე სახის საკონტრაქტო ვალდებულებით, მისი გაცვეთა ხდება საკონტრაქტო პერიოდზე.

• საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის

ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

• მარაგების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის აფასებს მარაგების გაუფასურებას. კომპანია აფასებს ნელა ბრუნვადი მარაგების შესაძლო გამოყენებადობას. შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მარაგის გაუფასურებას. გაუფასურების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, ტექნოლოგიურ სიახლეებს, წარსულ გამოცდილებას პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევ გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- უცხოური ვალუტის გასაცვლელი კურსის დროებითი არარსებობა (ცვლილებები ბასს 21-ში);
- ცვლილება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში და შეფასებაში (ცვლილება ფასს9 და ფასს 7);
- 2027 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ფასს 18;

2027 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის ფასს 19;

6. შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

კომპანია უზრუნველყოფს სს სილქნეტისთვის მომსახურების მიწოდებას, რომელიც დაკავშირებულია შესაბამისი ტექნიკური მომსახურების გაწევასთან სილქნეტის აბონენტებისთვის და სს სილქნეტის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობასთან.

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. გაწეული მომსახურების თვითღირებულება

	2024	2023
ხელფასები	(15,054,660)	(15,333,760)
საწვავი	(1,617,098)	(1,717,112)
იჯარის ხარჯი	(1,328,141)	(1,425,880)
ნედლეული და მასალები	(743,344)	(1,135,288)
მივლინების ხარჯი	(256,632)	(460,263)
ცვეთის ხარჯი	(226,566)	(205,599)
რემონტი	-	(33,507)
სხვა პირდაპირი ხარჯები	(373,081)	(403,151)
სულ	(19,599,522)	(20,714,560)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024	2023
ხელფასები და დანამატები	(7,158,200)	(3,525,983)
იჯარა	(781,336)	(818,094)
კომუნიკაციის ხარჯები	(78,162)	(154,362)
IT მომსახურების ხარჯი	(56,100)	(56,093)
ცვეთა და ამორტიზაცია	(36,324)	(85,366)
საწვავის ხარჯები	(36,017)	(30,807)
აუდიტის ხარჯი	(34,800)	(32,755)
საგადასახადო ხარჯი	(30,505)	(62,255)
საკანცელარიო ხარჯები	(23,210)	(26,897)
თანამშრომლთა დაზღვევა	(11,795)	(14,399)
რემონტის ხარჯები	(5,318)	(29,893)
მივლინების ხარჯები	(3,850)	(3,296)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(111,367)	(115,662)
სულ	(8,366,984)	(4,955,862)

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ძირითადი საშუალებები

	ავეჯი	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და პროფესიული მოწყობილობები	სულ ძირითადი საშუალებები
31 დეკემბერი 2022	56,678	2,820,596	61,218	217,073	389,436	3,545,001
შემენა	2,817	191,168	5,912	479,878	33,973	713,748
გასვლა/ჩამოწერა	(43)	(34,522)	(1,882)	(487,717)	-	(524,164)
31 დეკემბერი 2023	59,452	2,977,242	65,248	209,234	423,409	3,734,585
შემენა	297	108,037	5,048	-	21,209	134,591
გასვლა/ჩამოწერა	(2,449)	(212,332)	(5,910)	-	(40,108)	(260,799)
31 დეკემბერი 2024	57,300	2,872,947	64,386	209,234	404,510	3,608,377
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი 2022	(53,459)	(1,489,072)	(51,464)	(79,517)	(321,847)	(1,995,359)
წლის ცვეთა	(2,472)	(195,175)	(4,990)	(41,563)	(45,836)	(290,036)
გასვლა/ჩამოწერა	43	31,495	1,882	80,589	-	114,009
31 დეკემბერი 2023	(55,888)	(1,652,752)	(54,572)	(40,491)	(367,683)	(2,171,386)
წლის ცვეთა	(2,013)	(199,451)	(5,858)	(20,606)	(34,962)	(262,890)
გასვლა/ჩამოწერა	2,449	163,710	4,947	51,898	36,032	259,036
31 დეკემბერი 2024	(55,452)	(1,688,493)	(55,483)	(9,199)	(366,613)	(2,175,240)
საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2022	3,219	1,331,524	9,754	137,556	67,589	1,549,642
31 დეკემბერი 2023	3,564	1,324,490	10,676	168,743	55,726	1,563,199
31 დეკემბერი 2024	1,848	1,184,454	8,903	200,035	37,897	1,433,137

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება, რომლებსაც იყენებს კომპანია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს: 1,355,328 და 1,176,790 ლარს.

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მარაგები მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან	368,405	503,958
მარაგები საწყობში	185,471	190,201
ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე შემცირება	(80,736)	-
სულ	473,140	694,159

მარაგის თვითღირებულება, რომელიც აღიარებულია მიმდინარე პერიოდის ხარჯად შეადგენს 743,344 ლარს (2023: 1,135,288 ლარი).

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,474,267	5,203,540
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(25,770)	(63,488)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	1,448,497	5,140,052
გაცემული ავანსები	65,221	57,849
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,513,718	5,197,901

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულების იდენტურია აქტივების მოკლევადიანობიდან გამომდინარე.

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	(63,488)	(76,174)
უიმედო და საექვო ვალის რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებიდან	37,718	12,686
ნაშთი წლის ბოლოს	(25,770)	(63,488)

ინდივიდუალურად და ჯგუფურად გაუფასურებაზე შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ინდივიდუალურად	1,474,267	5,203,540
ჯგუფურად	-	-
ჯამი	1,474,267	5,203,540

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ბანკში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	136,565	89,430
ბანკში არსებული ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში	2,300	244
სულ	138,865	89,674

13. საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი 2023 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 100 ლარს, 2024 წელს დივიდენდი არ გაცემულა.

14. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	142,191	306,954
გადასახდელი ხელფასები	476,237	1,129,335
სულ	618,428	1,436,289

16. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ჯგუფს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ჯგუფისომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, ჯგუფი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად.

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

მენეჯმენტი პასუხს აგებს და უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის პროცესში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომლებიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკებს, ისე ბიზნეს რისკებს, როგორცაა გარემოს, ტექნოლოგიების და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე.

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს გაცემულ სესხებს, სავაჭრო მოთხოვნებს და ფულისა და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,474,267	5,203,540
ფული და ფულის ეკვივალენტები	138,865	89,674
სულ ფინანსური აქტივები	1,613,132	5,293,214

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ბიზნეს მოდელიდან გამომდინარე, მომსახურების საფასურს კომპანია უმეტეს შემთხვევაში იღებს ოპერაციის დასრულების შემდგომ შესაბამისად, საკრედიტო რისკი სრულად უკავშირდება გაწეულ მომსახურებას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული

ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	1,474,267	-	-	1,474,267
ფული და ფულის ეკვივალენტები	136,565	2,049	251	138,865
სულ ფინანსური აქტივები	1,676,053	2,049	251	1,678,353
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	574,417	44,011	-	618,428
სულ ფინანსური ვალდებულებები	574,417	44,011	-	618,428

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო რისკი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	5,203,540	-	-	5,203,540
ფული და ფულის ეკვივალენტები	89,674	196	48	89,674
სულ ფინანსური აქტივები	5,350,819	196	48	5,351,063
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,436,044	245	-	1,436,289
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,436,044	245	-	1,436,289

კომპანიის აქტივები და ვალდებულებები, ძირითადად დენომინირებულია ლარში შესაბამისად კომპანია არ დგას სავალუტო რისკის ქვეშ.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, კომპანიას არ აქვს მიღებული სესხი შესაბამისად არ დგას აღნიშნული რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	618,428	-	-	618,428
სულ ვალდებულებები	618,428	-	-	618,428

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,436,289	-	-	1,436,289
სულ ვალდებულებები	1,436,289	-	-	1,436,289

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები სრულად განეკუთვნებოდა ერთ წლამდე პერიოდს.

მიმდინარე ფინანსურ ვალდებულებებიდან სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულია ძირითადი მომწოდებლის წინაშე ვალდებულებასთან.

საიჯარო ვალდებულება დაკავშირებულია ფასს 16-ის შესაბამისად დარიცხულ ვალდებულებასთან და წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებების შესაბამისად მომავალ პერიოდებში გადასახდელ თანხებს.

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი	5,339,853	1,810,439

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს ინფორმაციის წარდგენას ფინანსურ ანგარიშგებაში

შპს „სერვის ნეტ გრუპი“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის



2024 წლის წლიური ანგარიში

გენერალური
დირექტორი:
ლ.ურუმბე

ფინანსური
დირექტორი:
ნ.ივანიძე

შინაარსი

30

სუბიექტის კომერციული-საბაზრო მდგომარეობა და განვითარების გეგმები

32

სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

34

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

34

სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

38

სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

40

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ




სუბიექტის კომერციული-საბაზრო მდგომარეობა და განვითარების გეგმები

შპს „სერვის ნეტ გრუპი“-ს ძირითად საქმიანობას შეადგენს გამანაწილებელი ობიექტების მშენებლობა ტელეკომუნიკაციებით უზრუნველსაყოფად (მაგისტრალური და საქალაქო საკომუნიკაციო ხაზები) და თანმდევი სამუშაოები, კერძოდ:

- სააბონენტო და საკაბელო სატელეკომუნიკაციო ქსელის მომსახურება და აღდგენა;
- აბონენტების ქსელში ჩართვა და შემდგომი მომსახურება;

კომპანია დარეგისტრირდა საქართველოში 2013 წლის 21 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია შ.ნუცუბიძის ქ. N14, თბილისი, საქართველო. შ.პ.ს „სერვის ნეტ გრუპი“ საქართველოს მასშტაბით ოპერირებს თბილისსა და რეგიონებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციაში დასაქმებულთა რიცხვი შეადგენდა 675 თანამშრომელს.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი მალტაში რეგისტრირებული კომპანია „იუპიტერ ფინანს (მალტა) ლიმიტედ“.



კომპანიის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს კომპანიის დირექტორატი. დირექტორებს აქვთ დელეგირება, ჩამოაყალიბონ კორპორატიული მენეჯმენტი და ზედამხედველობის პოლიტიკა, მიიღონ გადაწყვეტილებები ძირითად საკითხებთან დაკავშირებით.

მათი მოვალეობაა, იმოქმედონ კომპანიის ინტერესების დაცვის საუკეთესო გზით, გამოიჩინონ ლოიალურობა კომპანიისა და მისი მფლობელების მიმართ, მიიღონ მონაწილეობა დირექტორთა რეგულარულ შეხვედრებში, სადაც განიხილავენ და წყვეტენ:

- კომპანიის სტრატეგიული განვითარების მიმართულებებს;
- რისკების მართვის მექანიზმებს;
- კომპანიაში არსებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებს;
- კომპანიის აქტივობებსა და გარიგებებს;
- შიდა ნორმატიულ დოკუმენტებს;
- კაპიტალიზაციის განხორციელების მიზანშეწონილობას და სხვ.

ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებსაც გავლენა ჰქონდა კომპანიის საქმიანობაზე საანგარიშო წელს, შემდეგია:

- ხარჯების ეფექტურად მართვის მიზნით, გაგრძელდა მუშაობა და განხორციელდა კონკრეტულ სეგმენტში ფიქსირებული ხარჯების ცვლადი ხარჯებით ჩანაცვლება.
- სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს კომპანიის ფინანსურ-ეკონომიკურ პოლიტიკას;

სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიის განვითარება პირდაპირ ბმაშია ელექტრონული კომუნიკაციების დარგის განვითარების ტენდენციებთან. აღნიშნული ტენდენციების სწორად გასაანალიზებლად, კომპანია მუდმივად აკვირდება საერთაშორისო ტრენდებს და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ ანგარიშგებებს და ბაზარზე მისი მდგომარეობის გაანალიზებისა თუ სტრატეგიული განვითარების დაგეგმვისთვის, იყენებს ამ ინფორმაციას.

ჩვენი ძირითადი საქმიანობის მდგენელია ფიქსირებული სატელეფონო ქსელის მომსახურება. 2023 წლის ბოლოს, ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობამ 277 ათასი აბონენტი. 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, აბონენტების რაოდენობა 12 %-ით, 37 ათასი აბონენტით შემცირდა, სავარაუდოა, რომ ეს ტენდენცია შენარჩუნდება რის საფუძველსაც იძლევა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ ანგარიშებში ასახული ინფორმაცია. ფიქსირებული ტელეფონის აბონენტების, შესაბამისად შემოსავლებისა და ტრაფიკის შემცირება, მსოფლიოში არსებული ტენდენციაა, რაც უმთავრესად მობილური მომსახურებების განვითარების, ინტერნეტის ხელმისაწვდომობისა და OTT (Over-The-Top) სერვისების მოხმარების ზრდის შედეგია. მოსალოდნელია, რომ მსგავსი კლების ტენდენცია გაგრძელდება და უარყოფით გავლენას იქონიებს ჩვენი კომპანიის მიერ ფიქსირებული სატელეფონო ქსელის მომსახურების სერვისების მიწოდებასთან მიმართებაში.

მიუხედავად უარყოფითი ტენდენციისა ფიქსირებული სატელეფონო ქსელის მომსახურების ნაწილში, დარგის სხვა მიმართულებებში, მათ შორის, ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების მიმართულებით, მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენციაა. მკაფიოდ გამოხატულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიების განვითარების ტენდენცია, კერძოდ ქვეყანაში ხელმისაწვდომ სხვა ფართოზოლოვან ტექნოლოგიებს შორის ყველაზე დიდი 80%-იანი წილი ოპტიკურ ტექნოლოგიას უკავია. აღსანიშნავია რომ საქართველოს 5 დიდ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, რუსთავი და ფოთი) ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიი აბონენტების წილი ქალაქის ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურების აბონენტების მთლიან რაოდენობაში 97%-ია. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის მომხმარებელი აბონენტების უდიდესი ნაწილი - 48 % თბილისშია. საქართველოს ხუთ დიდ ქალაქზე

ჯამში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, რუსთავსა და ფოთში) აღნიშნული ტექნოლოგიის მომხმარებელთა 67 % მოდის, დანარჩენ ქალაქებზე, დაბებსა და სოფლებზე კი - 33%.

აღნიშნული განაწილების ძირითადი მიზეზი რეგიონებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შეზღუდული ხელმისაწვდომობაა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დედაქალაქსა და რამდენიმე დიდ ქალაქში ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურება თითქმის გაჯერებულია, ზრდის ტემპი სოფლებში უფრო დიდია. 2023 წლის IV კვარტლის მდგომარეობით ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის აბონენტების რაოდენობამ 1,11 მლნ. წინა წელთან შედარებით აბონენტების რაოდენობა 3.6 %-ით გაიზარდა. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის“ ანგარიშების შესაბამისად ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აბონენტების რაოდენობის წლიური ზრდის ტემპმა, ფიზიკური პირი აბონენტებისთვის 4.3%, ხოლო იურიდიული პირი აბონენტებისათვის 4,6% შეადგინა.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, თბილისში ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურების ბაზარი თითქმის გაჯერებულია, შესაბამისად, ჩვენი კომპანიის ყურადღება მიმართულია რეგიონალურ ქალაქებსა და სოფლებზე, განსაკუთრებით იქ, სადაც ვითარდება ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი და სადაც ფიქსირებული ფართოზოლოვანი მომსახურების აბონენტების რაოდენობა სტაბილურად იზრდება.

კომუნიკაციების კომისიის მიერ წარმოდგენილი ციფრები და ბიზნესის ტენდენციები ცხადყოფს, რომ გაგრძელდება ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონებში, შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ინფრასტრუქტურის მშენებლობა თუ მომსახურების მოცულობა ამ მიმართულებით იქნება მზარდი, დააბალანსებს იმ უარყოფით გავლენას, რაც ექნება ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების შემცირებას და საბოლოო ჯამში, პოზიტიურ გავლენას იქონიებს ჩვენს კომპანიაზე.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიაში კოორდინირებულად მოქმედებს საქართველოს მასშტაბით თბილისსა და რეგიონებში.

რეგიონში არსებულ გამოწვევებს უმკლავდებიან ფილიალები, ადგილზე დასაქმებული თანამშრომლების დახმარებით. საოპერაციო პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობს მიზნით, საჭიროების შემთხვევაში ხდება თანამშრომლების გადაადგილება რეგიონებს შორის.

ფილიალებს შორის კომუნიკაცია მყარდება ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო კავშირისა და საჭიროების შემთხვევაში ადგილზე ორგანიზებული შეხვედრების საშუალებით.

სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

საერთოდარგობრივი ტენდენციების ფონზე, კომპანია მის მდგომარეობას აფასებს, როგორც ოპტიმისტურს, თუმცა არსებობს გარკვეული ზოგადი ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიონ. ესენია:

- მორიგი ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაში;
- პოლიტიკური სტაბილურობის დარღვევა;
- დარგის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების ცვლილებები;
- სწრაფი ტექნოლოგიური განვითარება;
- ინფლაცია;
- ომი მეზობელ სახელმწიფოებში.

ისეთი ახალი ტექნოლოგიების გამოჩენამ, როგორიცაა 5G და რომლის დანერგვასაც საქართველო წამყვან ევროპულ ქვეყნებთან ერთად გეგმავს, თეორიულად შესაძლებელია, ჩაანაცვლოს საკაბელო ინტერნეტი, თუმცა რეალურად მსგავსი ჩანაცვლების შანსი მიუხერხულია, ვინაიდან: ა) საქართველოში მობილურ და საკაბელო ინტერნეტს ფლობენ ერთი და იგივე ოპერატორები;

ბ)საკაბელო ინტერნეტის მოგების კოეფიციენტი მაღალია; გ) ჩადებული ინვესტიციების მასშტაბი უზარმაზარია; დ) გაურკვეველია, რეალობაში რამდენად კონკურენტული აღმოჩნდება 5G საკაბელო ინტერნეტთან მიმართებაში;

კომპანიისთვის მკვეთრად გამოხატული ფაქტორი შესაძლოა იყოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობა, თუმცაღა, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ძირითად საქმიანობას აწარმოებს ეროვნულ ვალუტაში, ასევე ძალიან მცირეა ისეთი შესყიდვები, სადაც მოსალოდნელია, რომ ვალუტის კურსის ცვლილებამ აიძულოს მომწოდებელი, გაზარდოს ფასი, აღნიშნულ ფაქტორებს კრიტიკული გავლენა ბიზნესზე ვერ იქონიებს.

კომპანიას მიაჩნია, რომ ეროვნული ბანკის ლარიზაციის პროგრამა დაასტაბილურებს ეროვნულ ვალუტას გრძელვადიან პერსპექტივაში დააღნიშნული ფაქტორები მკვეთრ უარყოფით გავლენას არ იქონიებს ბიზნესზე გრძელვადიან პერსპექტივაში.

გარდა დარგობრივი რისკებისა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ არსებულ ბაზარზე და შესაბამისად, კომპანიის საქმიანობაზე, მენეჯმენტის ხედვით, არსებობს გარკვეული ბიზნესრისკები, რომელთა მართვა და გადაწყვეტა აუცილებელია წარმატებული ბიზნესსაქმიანობის გასაგრძელებლად. ეს რისკებია:

მყიდველის გავლენა: კომპანიას ჰყავს ერთი ძირითადი კონტრაქტორი, მისი ძირითადი საქმიანობა მიმართულია ამავე კონტრაქტორის სპეციფიკურ ტექნიკურ მომსახურებაზე, რაც ნიშნავს, რომ ძირითად დამკვეთს შეუძლია, იქონიოს გავლენა ბიზნესზე, კერძოდ, მიწოდებული სერვისის ხარისხსა თუ ფასებზე, რაც თავის მხრივ, აისახება კომპანიის მომგებიანობაზე. დღევანდელი მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სატელეკომუნიკაციო სერვისის მიწოდება, თუმცა აღსანიშნავია, რომ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე არსებული ოლიგოპოლია არ აძლევს კომპანიას დამკვეთთა დივერსიფიკაციის შესაძლებლობას, გარდა ამისა, კომპანია მიიჩნევს, რომ მისი გავლენა დამკვეთზე ასევე ძლიერია, ვინაიდან დაგროვილი აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, იცნობს დამკვეთის ინფრასტრუქტურას და ნაკისრი აქვს მისი მოვლის ვალდებულება წლების განმავლობაში. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, კომპანია მიიჩნევს, რომ დამკვეთისთვის ისევე რთული იქნება სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გასვლა, როგორც შპს „სერვისნეტ გრუპისთვის“.

პროდუქტების დივერსიფიკაცია: პროდუქტი, რომელსაც კომპანია აწვდის მის ძირითად კონტრაქტორს, მორგებულია ამავე კონტრაქტორის სპეციფიურ ტექნიკურ მომსახურებაზე. მიგვაჩნია, რომ არადივერსიფიცირებული პროდუქტი (მომსახურება) რისკ-ფაქტორია კომპანიისთვის. თუმცა კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმები მოიცავს პორტფოლიოს დივერსიფიკაციას წყალმომარაგების, სანიაღვრე სისტემებისა და სხვა მსგავსი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დარგში.

ფინანსური რისკები: მიგვაჩნია, რომ დღეის მდგომარეობით კომპანიას არ უდგას ლიკვიდურობის რისკი, რაც ნათლად ჩანს „კომპანიის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები: ლიკვიდურობის კოეფიციენტები“ - ში. თუმცა ინფლაცია და სავალუტო კურსი, ასევე საპროცენტო განაკვეთების ცვლილება შესაძლებელია გარკვეული რისკის მატარებლად მივიჩნიოთ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიამ სრულად დაფარა 2020 წლის ბოლოსთვის სასესხო ვალდებულება, ხოლო ძირითადი მომწოდებლები წარმოადგენენ ადგილობრივ კომპანიებს, რომლებიც თავად აწარმოებენ სამშენებლო მასალებს, ზემოთ მოხსენიებულმა ფაქტორებმა ნეგატიური გავლენა შეიძლება იქონიონ ჩვენს დაკვეთებზე, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ჩვენს საქმიანობაზეც.

სამართლებრივი რისკები: სამართლებრივი რისკები შეიძლება წარმოიქმნას საგადასახადო სფეროში, ასევე სახელმწიფო რეგულაციების / კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, თუმცა დღეისათვის რაიმე სახის სამართლებრივი რისკი კომპანიას არ უდგას როგორც საგადასახადო, ასევე სხვა სამართლებრივ სფეროებში.

საკრედიტო რისკი: კომპანიას შეიძლება შეექმნას საკრედიტო რისკი იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტი ვერ შეძლებს აუცილებელი თანხების დადგენილ ვადაში ანაზღაურებას. კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი გავლენა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის. კომპანიის მოთხოვნების უდიდეს ნაწილს შეადგენს ერთი კომპანიის მიმართ წარმოქმნილი მოთხოვნა. აღნიშნულ კომპანიას აქვს კარგი საკრედიტო ისტორია. გარდა ამისა ფული საბანკო ანგარიშზე განთავსებულია საქართველოში არსებულ აქტივების მიხედვით ორ უდიდეს ბანკში.

კონკურენცია: მიმდინარე მდგომარეობით, კომპანიას არ ჰყავს მკვეთრად გამოხატული კონკურენტი ძირითადი საქმიანობის მიმართულებით, თუმცა ბაზარზე არსებობს რამოდენიმე კომპანია, რომელნიც ოპერირებენ იმავე დარგში.

ჩვენი კომპანიის უპირობო ბენეფიტებია: სრული აღჭურვა მაღალ ხარისხიანი დანადგარებით, მრავალწლიანი გამოცდილების კვალიფიციური კადრები და დამკვეთთათვის მიწოდებული მაღალი ხარისხის სერვისი, რაც გვაძლევს საშუალებას, დავიმკვიდროთ დომინანტი პოზიცია. მივიჩნევთ, რომ კონკურენტებზე მაღალი ხარისხი, კარგი რეპუტაცია, პორტფოლიო და ტექნოლოგიურ სიახლეებზე ორიენტაცია შესაძლებლობას აძლევს კომპანიას, შეინარჩუნოს ბაზარზე ადგილი.

ძირითად რისკებად კომპანია მიიჩნევს მყიდველის გავლენისა და პროდუქტის დივერსიფიკაციის რისკებს. ამ რისკებს ფარავს ის სტრატეგიული გეგმები, რომლებიც განხილულია ქვემოთ.

კომპანიის ძირითადი ამოცანაა უდანაკარგო საქმიანობის უზრუნველყოფა, მოგების და მდგრადი ფულადი ნაკადების მიღება. შესაბამისი შედეგის მისაღწევად და ზემოთ განხილული რისკების დაზღვევის მიზნით, კომპანიას მიაჩნია, რომ აუცილებელია მის მიერ შეთავაზებული პროდუქტისა (მომსახურების) და დამკვეთთა პორტფოლიოს (მომსახურების) დივერსიფიკაცია.

2016 წლიდან მოყოლებული, კომპანია იღებს მონაწილეობას სხვადასხვა ტენდერებში იმ მიზნით, რომ დააგროვოს შესაბამისი გამოცდილება არა მხოლოდ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და მომსახურების, არამედ წყალმომარაგების, სანიაღვრე სისტემებისა და სხვა მსგავსი ინფრასტრუქტურის მშენებლობის დარგში. კომპანია ასევე განიხილავს შესაძლებლობას, მიმართოს დაგროვილი ცოდნა მსხვილ, მათ შორის სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად. კომპანია გეგმავს შემდგომ განვითარებას ამ მიმართულებით.

სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

2024 წელი აუდირებულია შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“ (SARAS-F-344896) მიერ. ფინანსური ანგარიშგებების სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლები

საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებელთა სისტემა	2024	2023
მიმდინარე აქტივების ხვედრითი წილი	0.60	0.79
გრძელვადიანი აქტივების ხვედრითი წილი	0.40	0.21
საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობა	3.79	3.19
საკუთარი კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.79	0.76
საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფა	0.65	0.70
ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი	1.26	1.31
საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	0.79	0.76
მოზიდული კაპიტალის კონცენტრაციის კოეფიციენტი	0.21	0.24

ძირითადად კომპანია ოპერირებს საკუთარი კაპიტალით, მოზიდული კაპიტალის დაბალი ხვედრითი წილი და კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი ცხადყოფს, რომ კომპანია ფინანსურად არ არის მოზიდულ კაპიტალზე დამოკიდებული.

საანგარიშო პერიოდში მოგებისა და საწარმოს ფინანსური სტაბილურობის მაჩვენებლებზე დაყრდნობით კომპანია თვლის, რომ ბიზნესსაქმიანობის გაგრძელება რისკებთან არაა დაკავშირებული.

მიმდინარე წელს გაუმჯობესებულია საკუთარი სახსრების მოზიდულ სახსრებთან თანაფარდობის კოეფიციენტი. მოზიდული კაპიტალის დაბალი ხვედრითი წილი და კაპიტალის ძირითადი სტრუქტურის კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს საკუთარი კაპიტალის წილს აქტივებში ცხადყოფს, რომ ქონების ძირითადი ნაწილი კონცენტრირებულია ანუ შემენილია საკუთარი კაპიტალის ხარჯზე. ფინანსური დამოკიდებულების კოეფიციენტი დაბალია, რაც გამოწვეულია ნასესხები სახსრების ოდენობის სიმცირით, შესაბამისად, შემცირებულია გარეშე ინვესტორების დაფინანსების წილი და გაზრდილია კომპანიის მესაკუთრეების ქონება.

გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები	2024	2023
აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.19	0.05
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.22	2.94
საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი	2.86	3.32

კომპანიის გადახდისუნარიანობას მისი ლიკვიდურობის ხარისხი ახასიათებს. წლის ბოლოს, კომპანიის აქტივების ძირითადი ნაწილია სწრაფად ლიკვიდირებადი აქტივები, კერძოდ, დებიტორული მოთხოვნები.

ეფექტურობის კოეფიციენტები	2024	2023
დებ. დავალიანების ამოღების პერიოდი	22.11	81.05
დებ. დავალიანების დაფარვის რიცხვი წელიწადში	16.51	4.50
აქტივების ბრუნვის კოეფიციენტი	7.02	3.10
მარაგების ბრუნვის კოეფიციენტი	41.25	29.84

კომპანიას მიაჩნია, რომ არ უდგას ლიკვიდურობის ან დებიტორული დავალიანების ამოღების პრობლემა, ვინაიდან მოცემული კოეფიციენტები გაუმჯობესებულია და მისაღებია იმ დარგისთვის, რომელშიც ოპერირებს, ხოლო დებიტორული დავალიანებები არის მიმდინარე და გასტუმრებულია საანგარშო პერიოდის შემდგომ, შესაბამისად, არ დგას საჭიროება დაჩქარდეს დებიტორული დავალიანებების განაღდების პროცესი.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნებისა და პოლიტიკის შესახებ

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი ფინანსური რისკების წინაშე. ქვემოთ იხილეთ ფინანსური კოეფიციენტების მცირე მიმოხილვა:

ლევერიჯი	2024	2023
ფინანსური ლევერიჯი	1.22	1.25
ვალდებულების თანაფარდობა კაპიტალთან	0.21	0.24
ვალდებულების თანაფარდობა აქტივებთან	0.21	0.24

ფინანსური ლევერიჯი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, რაც ნიშნავს, რომ ნასესხები სახსრების წილი და სესხებით გამოწვეული ფინანსური რისკი დაბალია. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ კომპანიას საფრთხე არ ემუქრება.

მონაცემების კომპანიის კაპიტალის შესახებ. დივიდენდი არ გაცემულა როგორც 2023 წელს, ასევე 2024-ში.

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	მფლობელთა კაპიტალი	აკუმულირებული მოგება (ზარალი)	სულ კაპიტალი
	GEL	GEL	GEL
2022 წლის საბოლოო კაპიტალი	100	7,899,548	7,899,648
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	-	(2,153,882)	(2,153,882)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2023 წლის საბოლოო კაპიტალი	100	5,745,666	5,745,766
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	-	(2,930,217)	(2,930,217)
2024 წლის საბოლოო კაპიტალი	100	2,815,449	2,815,549

მმართველობითი ანგარიში მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 27 მაისს.

გენერალური დირექტორი: ლევან ურუშაძე

ფინანსური დირექტორი: ნინო ივანიძე

მმართველობითი ანგარიში მომზადებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2025 წლის 27 მაისს.

გენერალური დირექტორი: ლევან ურუშაძე

ფინანსური დირექტორი: ნინო ივანიძე

